07/01/2021

კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე ამ დრომდე არ გამოქვეყნდა

Image not found or type unknown

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის 2021 წლის საშობაო ეპისტოლე ამ დრომდე არ გამოქვეყნდა.

ტრადიციისამებრ, პატრიარქის საშობაო ეპისტოლე უნდა წაკითხულიყო საშობაო წირვის დაწყების წინ, რაც წელს არ შესრულდა.

ასევე, ჯერჯერობით საქართველოს საპატრიარქოს წერილობითაც არ გაუვრცელებია კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე.

აღნიშნული ფაქტი უპრეცედენტოა კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მამამთავრობის პერიოდში.

wenews.ge